



განხილულია ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე (ოქმი № 8, 11.02.2017)
დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 14.02.2017
№03/გადაწყვეტილებით
თჰუ რექტორის 2017 წლის 14.02. N 28/01 ბრძანებით

**თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტი**

პროგრამის სახელწოდება - მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი /Medical Doctor/

მიმართულება - 09 – ჯანდაცვა

დარგი / სპეციალობა – 0901 მედიცინა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით - 360 კრედიტი (9000 სთ.).

ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირაა, 1 სემესტრის მანძილზე სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს

სწავლების ენა - ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ტატიანა ზუბიაშვილი (იხ. რეზიუმე)

1.სფეროს აღწერა

წარმატებული საექიმო საქმიანობა საბაზო სამედიცინო განათლების ხარისხის პირდაპირპროპორციულია, ხოლო ამ უკანასკნელის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის აქტუალური პრობლემაა. მოცემული პრობლემის

კომპლექსურობისა და მრავალმხრივობის გათვალისწინება მისი წარმატებით გადაჭრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ჯანდაცვის სისტემისა და შესაბამისად, სამედიცინო საქმიანობის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, დიპლომამდელი სამედიცინო განათლება ხარისხის პერმანენტულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

სამედიცინო საქმე არის ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც შეეხება არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ მის სიცოცხლეს. საქართველოს კანონით "საექიმო საქმიანობის შესახებ" საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“.

საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებზე და ამასთანავე გათვალისწინებულია ქართული სამედიცინო სკოლის მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება. ბოლონის პროცესებში მონაწილე ქვეყნებისთვის დიპლომამდელი საფეხურის კომპეტენციები განსაზღვრულია თუნიზის პროექტით მოწოდებული კომპეტენციების საფუძველზე, კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად. ხოლო საბაზო სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციები – ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტანდარტებისა და ზოგადი და დარგობრივი სტანდარტების (კომპეტენციების) მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე დიპლომირებული მედიკოსის მომზადებას, რომელიც მზად იქნება ჯანდაცვის სფეროში, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორის, საქმიანობაში კონკურენტუნარიანი და ქმედითი მონაწილეობის მისაღებად.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის არა მხოლოდ საბაზო საბუნებისმეტყველო და კლინიკურ მეცნიერებებში ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის მიღებას, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავებასა და პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

2. პროგრამის მიზანი

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება;
- მოამზადოს კვალიფიციური, მედიცინის დარგში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების, ძირითადი საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, მქონე პირი, რომლის ამოცანაა საერთაშორისოდ აღიარებული

სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე ქართული ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

პროგრამის ამოცანები:

პროგრამის ამოცანაა – სასწავლო კურსების შინაარსის/მოცულობის, ასევე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს:

- პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი საბაზისო სამედიცინო და პროფილური ცოდნის მიცემას;
- დიპლომამდელი სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების და პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების გამომუშავებას;
- სამეცნიერო და კლინიკური სიახლეების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას და მათ გამოყენებას კლინიკური პრობლემის გადასაწყვეტად;
- წერიტი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- ჯანდაცვის სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნას;
- მომავალი პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული ზრდის აუცილებლობის გაცნობიერებას და განვითარებისთვის მზადყოფნას.
- პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისებას;
- პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან და და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარის გამომუშავებას;

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლეს სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

3. „მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბროს: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და ერთ-ერთი უცხოური ენა. არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტს შეუძლია ჩააბროს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი არჩევითი საგნები: ბიოლოგია/ან და ქიმია.

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესისა და სასწავლო უნივერსიტეტის გადმოყვანის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა შესაბამისად.

4. პროგრამის სწავლის შედეგები

დიპლომირებული მედიკოსის მომზადება უზრუნველყოფს რიგი კომპეტენციების ფორმირებას: აკადემიური კომპეტენციები, რომელიც მოიცავს შესწავლილი დისციპლინების ცოდნასა და გაცნობიერებას და სწავლის უნარს;

სოციალურ-პიროვნული კომპეტენციები, რომელიც მოიცავს კულტურასა და ღირებულებებზე ორიენტაციას, საზოგადოების და ქვეყნის იდეოლოგიური, ზნეობრივი ღირებულებების ცოდნას; დეონტოლოგიის უნარების გამოყენებას, ბიოსამედიცინო ეთიკის ნორმების ცოდნასა და დაცვას.

პროფესიული კომპეტენციები, რომელიც მოიცავს ცოდნისა და უნარების ერთობლიობას პრობლემების, ამოცანების გადაჭრაში, გეგმების შემუშავებაში და მათ შესრულების უზრუნველყოფას არჩეულ სფეროსა და პროფესიულ საქმიანობაში.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეორე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის თანახმად, „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, პროგრამის მიზნებიდან და უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს მიღწეული ექნება ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი საფეხურის დონე, რაც მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს აქვს მედიცინის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიების და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემურ ცოდნას;

იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი მოქმედების და დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების მიხედვით;

აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში (ინდივიდუალური/ოჯახური გარემოს კონტექსტში, თუ პოპულაციაში ზოგადად);

აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა;

აცნობიერებს: კომპლექსური კლინიკური პრობლემების მნიშვნელობას და იცნობს მათი გადაჭრის გზებს. ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპებს, იცნობს კვლევის თანამედროვე სტრატეგიებს, ტრადიციულ და უახლეს კვლევით ტექნოლოგიებს და მეთოდებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

შეუძლია: მიღებული ცოდნის საფუძველზე პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა: ანამნეზის შეგროვება, სუბიექტური და ობიექტური კვლევის მეთოდების ჩატარება და მოქმედების გეგმის დასახვა.

კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება.

რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. აქვს ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა, შეუძლია სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამკურნალო საშუალებებისადმი სელექციური მიდგომა. და მკურნალობის დანიშვნისას მედიკანტების თავსებადობის გათვალისწინება;

დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური (ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულება) და ფსიქოლოგიური (დაავადებასთან დაკავშირებული სტრესი) ფაქტორების შეფასება;

საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, პაციენტისაგან ინფორმაციის/ანამნეზის შეკრების ჩათვლით. ასევე ფიზიკური გამოკვლევის წარმოება, საჭირო დიაგნოსტიკური პროცედურების შერჩევა და მათი შედეგების ინტერპრეტირება;

აქვს: მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული არაინვაზიური და ინვაზიური პროცედურების ჩატარების უნარი.

მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრის, ასევე ლიდერის სტატუსით.

შეუძლია: წნევის გაზომვა, ვენეპუნქცია, ლუმბალური პუნქცია, ვენაში კათეტერის ჩადგმა, ინფუზია/ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება, ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში, ჟანგბადის მიწოდება, რეფერალში მონაწილეობა, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და შარდის ანალიზის გაკეთება, სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება, ე.კ.გ. გადაღება/ინტერპრეტაცია, სისხლის და სისხლის შემცვლელების გადასხმა, ნაკერის დადება, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა, ანტენატალური გამოკვლევა (მათ შორის სამშობიარო ჰოსპიტლის მიმდებში), შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, პათოლოგიური ნიშნების ამოცნობა, ადექვატური მოქმედება, ახალშობილის მდგომარეობის შეფასება, გინეკოლოგიურ პაციენტთა გამოკვლევა/მკურნალობა);

ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადექვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა;

ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა როგორც ინდივიდის, ისე პოპულაციის დონეზე;

ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში; კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი - შეუძლია მედიცინის დარგში რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

შეუძლია: სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი სპეციფიური მეთოდის გამოყენებით, კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია, მისი გადაჭრის სარწმუნო, უსაფრთხო გზების ოპერატიული მოძიება და, სათანადო დასკვნის გამოტანის შემდგომ, შესაბამისი ქმედება.

რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის შესახებ დასკვნის გაკეთება.

აქვს: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და პრაქტიკაში დანერგვის უნარი;

ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების, კვლევით მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და ფორმალური პროფესიული წერილობითი ენა;

კომუნიკაციის უნარი - შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა და შესაბამისი კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

შეუძლია: სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით) და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების და შეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა მშობლიურ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;

კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან;

ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.

კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;

შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა.

პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

აქვს: კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

შეუძლია: სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამაღლება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა;

სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება;

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

აქვს: დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი;

აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას.

ღირებულებები - შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; იმ დამოკიდებულებების დემონსტრირება, რომელიც საჭიროა პაციენტთა დახმარების მაღალი სტანდარტის მისაღწევად;

იცნობს სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს.

შეუძლია: პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან; მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება;

კულტურასთან, სქესთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი დამოკიდებულება;

პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას;

მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

5.სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც უნივერსალური და აღიარებული სწავლების მეთოდები, ისე სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომელთა გამოყენება საერთაშორისო დონეზე აპრობირებულია დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში და მათი დახმარებით სტუდენტს უმუშავდება ამ სფეროსათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, კერძოდ:

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას.

ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამოიმუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღედრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

კლინიკური პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამოიმუშავებაზე. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). კლინიკური პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი კლინიკური პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

სწავლებისას გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა:

- **ვერბალური და წერიტი მუშაობის მეთოდები;**
- **წიგნის დამუშავების მეთოდი;**
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უნვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის

უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
 - ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს
- **პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელდება ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

- **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
 - **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
 - **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
 - **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
 - **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.
- პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

ბ) ინგლისური, გერმანული ან რუსული ენის სწავლებისას ხდება უცხო ენის სწავლების აპრობირებული და ეფექტური მეთოდების გამოყენება:

- **გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar Translation Method)**, რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.
- **აუდიოლინგვისტური მეთოდი (Audio-lingual method)**-რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტები ისმენენ და იმეორებენ მასწავლებლის მიერ არაერთხელ განმეორებულ ჩანაწერებს.
- **სიტუაციური სწავლება-ზეპირი მიდგომა (Situational language teaching (Oral Approach))**. სტუდენტი განმეორების გზით იმახსოვრებს ყველაზე გამოყენებად სიტყვებს და ენობრივ კონსტრუქციებს, აქვე ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში. ძირითადი იდეები: ზეპირი მეტყველება დომინირებს წერით მეტყველებაზე, შეცდომების თავიდან აცილება ხდება თავიდანვე, ანალოგიების გამოყენება, სიტყვები იძენენ აზრობრივ დატვირთვას მხოლოდ კონტექსტში.
- **აუდიო-ვიზუალური მეთოდი**-გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა. ლექცია/პრაქტიკულ მეცადონეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

- **სწავლა სწავლებით** (Learning by teaching (LdL) — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი. გარდა ამისა, სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები:
 - ინტერაქტიური ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა
 - ვირტუალურ გარემოში სწავლება
 - სასწავლო როლური და საქმიანი თამაშები
 - კლინიკური შემთხვევები
 - ლაბორატორიული სწავლება ან ლაბორატორიული პრაქტიკუმი;
 - პრეზენტაციები
 - პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირება და სხვ.

6. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

„მედიცინის“ პროგრამის ხანგრძლივობა 6 სასწავლო წელიწადია, 12 სემესტრი. პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი აითვისებს 360 ECTS და ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 1 შუალედურ გამოცდას, რომელიც საბაზო კურსებში ტარდება **მე-8 კვირას**, ხოლო კლინიკური კურსებში შუალედური გამოცდის ჩატარების ვადა განისაზღვრება სწავლების ხანგრძლივობიდან გამომდინარე კლინიკური როტაციის შესაბამისად და განსაზღვრულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით. ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 40 კვირას, 1 სემესტრის განმავლობაში - **20 კვირას**, რომელშიც მოიაზრება **15 სასწავლო კვირა** (სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების პერიოდი) და **5 კვირა** საგამოცდო: **VIII კვირა** - შუალედური გამოცდების კვირული (კლინიკური კურსებში შუალედური გამოცდის ჩატარების ვადა განსხვავებულია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამისი კურსის სილაბუსით), **XVII-XX-** დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კვირული. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აითვისოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი), „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის წლიური დატვირთვა შეიძლება აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა:

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება

მრავალკომპონენტური შეფასება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში **30 ქულა** (კლინიკური კურსებში დასაშვებია ქულათა განსხვავებული გადანაწილება) ;

შუალედური გამოცდა-30 ქულა (კლინიკური კურსებში დასაშვებია ქულათა განსხვავებული გადანაწილება);

ხოლო **დასკვნითი გამოცდის** ხვედრითი წილი შეადგენს **40 ქულას**.

შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ **11 ქულას**.

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის **50%-ს ანუ 20 ქულას 40 ქულიდან**.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) (A) **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: (FX) ვერ ჩააბარა -ს მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში და აისახება საგამოცდო ცხრილში.
2. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
3. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

- შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები/აქტივობები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

7. კლინიკური პრაქტიკის განხორციელების პროცესი და შეფასების კრიტერიუმები

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია კლინიკური პრაქტიკა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს და პროგრამის განუყოფელ ნაწილს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). კლინიკური პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებათათვის. კლინიკური პრაქტიკა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (აფილირებულ კლინიკურ ბაზებზე და სხვ.). შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

8. დასაქმების სფერო

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ მედიკოსს) მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს:

- გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში;
- გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;
- იმუშაოს უმცროს ექიმად ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურებასთან;
- განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში და/ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სხვადასხვა ჰოსპიტალი და ა.შ.);
- დასაქმდეს ნაციონალურ და საერთაშორისო ფარმაცევტულ კომპანიებში და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრებში.

9. სწავლის გაგრძელების საშუალება

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს გაიდრმავოს ცოდნა და სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოპოვების მიზნით სწავლა გააგრძელოს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სარეზიდენტო პროგრამებზე.

10.პროგრამის ანალოგი: ანალოგიური პროგრამები ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვ. შესაბამისად, უზრუნვეყოფილი იქნება სწავლების პროცესში სტუდენტთა მობილობა. /www.tsmu.edu.ge, www.atstu.edu.ge/, <http://www.bsu.edu.ge/> და სხვ.

11.პროგრამის სტრუქტურა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის ფაკულტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით „დიპლომირებული მედიკოსის“ აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **360 ECTS კრედიტი** ნაწილდება შემდეგნაირად:

- **15 (ECTS) კრედიტი** - საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (ერთ-ერთი უცხო ენა- ინგლისური, რუსული-12 კრედიტი და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები - 3 კრედიტი).
- **345 (ECTS) კრედიტი** -მედიცინის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის:
- **156 (ECTS) კრედიტი** - სავალდებულო სასწავლო კურსები
- **180 (ECTS) კრედიტი** - კლინიკური სასწავლო კურსები
- **9 (ECTS) კრედიტი** -- არჩევითი სასწავლო კურსები

12. „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკოს სპეციალისტთა ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა უმაღლეს დაწესებულებაში დასაქმებული პირების პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად მოწვევის თაობაზე; პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თქუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თქუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია, საპროფესორო, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა (EBSCOHost – <http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკი <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2>, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/> და სხვ.

13. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

14. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

„მედიცინის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაყვანის მიზნით; გარდა ამისა, ჯანდაცვის ფაკულტეტი პროფილურ დისციპლინებს სტუდენტებს სთავაზობს როგორც ქართულ (სწავლების ენა), ისე უცხო (ინგლისურ) ენაზე.

დანართების სახით იხილეთ:

პროგრამის სტრუქტურა/სასწავლო გეგმა და პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა